საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1476-03
16/08/2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს თანამედროვე ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის ლევან და მარინა მიქაბერიძეების სახელობის სტიპენდიის დაწესებისა და სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ლი და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მოწვეული პროფესორის ალექსანდრე მიქაბერიძის 2021 წლის 16 ივლისის N7520-35 განცხადების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 19 ივლისის N6 სხდომის ოქმის გადაწყვეტილებისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 22 ივლისის N7855-35 წარდგინების საფუძველზე

ვბრძანებ

1. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მოწვეული პროფესორის ალექსანდრე მიქაბერიძის ინიციატივით დაწესდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საქართველოს თანამედროვე ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის ლევან და მარინა მიქაბერიძეების სახელობის სტიპენდია.

2. სტიპენდია გაიცეს სემესტრულად საქართველოს თანამედროვე ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ორ სტუდენტზე ამ ბრძანების მეოთხე პუნქტით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

3. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის განისაზღვროს სასტიპენდიო თანხა სემესტრში თითოეული სტუდენტისათვის 1200 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველი მომდევნო სემესტრში გასაცემი სასტიპენდიო თანხის ოდენობა განისაზღვროს ლევან და მარინა მიქაბერიძეების სახელობის სასტიპენდიო ფონდში აკუმულირებული თანხების შესაბამისად, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

4. დამტკიცდეს ლევან და მარინა მიქაბერიძეების სახელობის სტიპენდიის მიღების კრიტერიუმები ამ ბრძანების დანართის მიხედვით.

5. სტიპენდიების გაცემა მოხდეს ალექსანდრე მიქაბერიძის თანხმობით სასტიპენდიო ფონდში გადარიცხული თანხების შესაბამისად.

6. დაევალოს აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს სასტიპენდიო თანხების აღრიცხვა-ანგარიშგება და ინფორმაციის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანისათვის მიწოდება.

7. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე მიაწოდოს ინფორმაცია რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტიპენდიანტებისა და წინამდებარე სემესტრში გასაცემი სტიპენდიის თანხის ოდენობის შესახებ სასტიპენდიო ფონდში აკუმულირებული თანხების შესაბამისად. აღნიშნული საკითხის მონიტორინგი და ორგანიზება დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს.

8. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტსა და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

9. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს აღნიშნული ინფორმაციის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის, პროგრამის სტუდენტებისათვის გაზიარება და დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

10. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით;

11. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულეტს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, აღრიცხვა-ანგარიშეგების სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, ალექსანდრე მიქაბერიძეს.

გიგა ზედანია

რექტორი

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი